


პროფესიონალი

№78

PROFESSIONAL



ART-CERAMIC



კერამოგრანიტი უკვე ბათუმში!

უკრაინული წარმოების კერამიკის ფირფიტები კედლებისა და იატაკისათვის!




ფერისა და ფერორის
მდიდარი არჩევანი
მოჭიქული, პრიალა
იატაკი და მოზაიკა

ჩვენ მაღაზაში
სადარბაზოების,
სამზარეულოს,
სააბაზანოსა და სხვა
ნაგებობების სველი
ცერტიფიცირების
მოსაპირეთებელ
ფირფიტებს
აღმოაჩენთ,
რომელთა
დახმარებით, თქვენი
იატაკი ხის მასალის
ფაქტურას შეიძლენ და
წლების მანძილზე არ
გაცვდება!

Pushkin 74 str.
6010 Batumi
GEORGIA
+ 995 555 60 22 89
art.ceramicsalon@gmail.com

აჩუქეთ საკუთარ
სახლს სილამაზე და
მარაფიულობა!



Зимногорский берег +



12

2019-2020 ക്ലാസ്



15



100



3

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი: ელა ლულაევი

სარელაქციო კოლეგია

ମିଶନାରୀଙ୍କଳିତା

თბილისი, პ. იგორევანის №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრე-
სის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პა-
სუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სი-
ზუსტებები. რედაქცია ყოველთვის არ იზი-
არებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე
დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარ-
ტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინ-
ტერესებს.

28.05.2016-28.06.2016

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს
მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



პარლამენტის პლენარული სესია

პარლამენტის პლენარული სხდომა ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის განცხადებით დაიწყო, რომელიც სხდომის დღის წესრიგიდან საარჩევნო კოდექსის კანონპროექტის ამოღებას შეეხებოდა. დავით ბერძენიშვილმა ამის მიზეზად პლენარულ სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების გამოუცხადებლობა

საარჩევნო უბნების შექმნა იკრძალება თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელასრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების, ასევე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ქვედანაყოფების ტერიტორიაზე.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს კანონის პროექტი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ წარმოადგინა.

კანონპროექტის შესაბამისად, დადგინდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდებისა და



დასახელა. აღნიშნული საკითხის განხილვა მომდევნო პლენარული სხდომისთვის გადაიდო.

დეპუტატებმა დაჩქარებული წესით განიხილეს საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ინიციატორის, ზურაბ ტყემალაძის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების აქციზით დაბეგვრის სათანადო დებულებების ამოღებას საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან.

პარლამენტმა განიხილა და მიიღო საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრება მუნიციპალიტეტების ვალდებულება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების ყოველწლიური ზრდის საფუძველზე მიღებული გაზრდილი ფინანსური სახსრები მიმართონ მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებულ გადასახდელების დაფინანსებაზე, გარდა ახალი ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვისთვის და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრებისა.

სხდომაზე დეპუტატებმა ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ განიხილეს, რომლის თანახმად, სპეციალური

შეთავაზებების რეგისტრაციისას სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობის ზედა ზღვარი. კერძოდ, ფასიანი ქაღალდების საერთო ღირებულების 0.1%, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა. ამასთან, პროექტის მიხედვით, 2021 წლის 1 იანვრამდე ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკი ფასიანი ქაღალდებისა და შეთავაზებების რეგისტრაციას ახორციელებს ზემოხსენებული სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდევინების გარეშე.

მანანა კობახიძის განცხადებით, იურიდიულად შეუძლებელია კანონი ძალაში შევიდეს, ამიტომ მან შესთავაზა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, რომ კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე მესამე მოსმენით განიხილეს კანონპროექტები: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ოპოზიციის წარმომადგენლის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ასაკის მიხედვით შეზღუდვები წესდება. მისი თქმით, წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება აკადემიის მართვის პრო-

.... საკოლეგიანო პროცესი ... საკოლეგიანო პროცესი ... საკოლეგიანო პროცესი ...

ცესში ჩარევა, რაც მისივე შეფასებით, ძალიან ცუდი პრაქტიკაა. „ კონფლიქტი, რომელიც არის კანონმდებელსა და აკადემიას შორის, უნდა დამთავრდეს შემდეგნაირად : მივცეთ სრული თვითმმართველობა აკადემიას. ზედმეტი რეგულაციებითა და ჩარევებით აკადემიის მართვის პროცესებში, ჩვენ პირიქით ხელს შევუშლით მეცნიერების განვითარებას“, - აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონპროექტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ გიორგაძემ გააცნო დეპუტატებს. მისი განმარტებით, კანონი ეხება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე იმ პირებს, რომელიც არ არიან საქართველოში, სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე იმ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას, ყოფნას და მათდამი მოყვრობის სტანდარტებს, რომლებმაც ამ კანონის შესაბამისად მოითხოვეს საერთაშორისო დაცვა. განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა, ჰუმანი-

გრიგოლ გიორგაძის განცხადებით, გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: კონფიდენციალურობის პრინციპი, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობა, თავშესაფრის მაძიებლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათვისუფლება, არგაძევების პრინციპი. განსაზღვრულია დაკავების არსი, წესი და შემთხვევები. პროექტის მიხედვით, პირის დაკავება არის - უკიდურესი ზომა, რომელიც არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ კანონიერ მიზანს. პროექტით გათვალისწინებულია ოჯახის ერთიანობის დაცვა და ოჯახის გაერთიანება, კერძოდ, თუ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მიენიჭა ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან გაუხანგრძლივდა ჰუმანიტარული სტატუსი ან დროებითი დაცვის ვადა, მაშინ მასთან ერთად მყოფ ოჯახის წევრებსაც, ისევე როგორც არასრულწლოვნებს, რომელთა კანონიერი წარმომადგენელიც არის ეს პირი,



ტარული სტატუსის მქონე და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, უფლება—მოვალეობებს და სოციალურ—ეკონომიკურ გარანტიებს, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოში ლტოლვილის, ჰუმანიტარული და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების, გაუქმების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და შესაბამისი სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლებსა და პროცედურებს, სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს თავშესაფრის პროცედურის უზრუნველყოფის სფეროში.

კანონის პროექტში ასახულია კანონის მიზანი და მთელ რიგ ტერმინთა განმარტება, მათ შორის, ტერმინისა „საერთაშორისო დაცვა“, რომელიც წარმოადგენს თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვას ამ კანონით დადგენილი წესით.

ენიჭება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

მანანა კობახიძის განცხადებით, ეს არის მნიშვნელოვანი კანონი, რომელსაც საკმაოდ ჰუმანური შინაარსი აქვს და ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება. „ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებულ პრობლემად უდგას ჩვენი ქვეყნის 20%-ის ოუპაცია და ამ ტერიტორიებიდან დევნილი ათასობითი ჩვენი მოქალაქე, მანიტერესებს დამატებითი ვალდებულება ხომ არ არის გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნისთვის 300 000 დევნილის არსებობის პირობებში“, - დაინტერესდა მანანა კობახიძე, გრიგოლ გიორგაძის პასუხით, არ ხდება იმაზე მეტი ვალდებულების აღება, რისი შესრულებაც სახელმწიფოს არ შეუძლია. „ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ვალდებულებები და ამ ვალდებულებების ფარგლებში ვახდენთ პარმონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის დირექტივებთან, მიგრაციის მიმართულებით“, - განაცხადა გრიგოლ გიორგაძემ.



აქართველოს ცალკეულ რეგიონებში არსებული რეალობა, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური სიძლიერის პირდაპირ ინდიკატორს წარმოადგენს. დღეისათვის პერიფერიები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან. თუმცა, ამ ეტაპზე, განვითარების თანაბარი შესაძლებლობები არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, პრობლემების სწორი ანალიზი და მათი სასწრაფო მოგვარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე, მაქსი-



ყველა პრობლემას ლოგილად მოვაწება

მაღური ეფექტის მისაღწევად, საჭიროა ცალკეული რეგიონის განვითარების პოტენცია-

ლის ოპტიმალურად გამოყენება და რესურსების სწორი გადანაწილება. ვინაიდან ამ ეტაპზე თვითმმართველ ერთეულებს განსხვავებული შემოსავლები გააჩნიათ, სახელმწიფო ადგილობრივ ბიუჯეტებს გამოთანაბრებითი ტრანსფერით ავსებს, რაც ნანილობრივ უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულებში ცხოვრების დონის ერთ-მანეთთან გათანაბრებას. ამ მოსაზრებით, ნინოწმინდის რაიონში, ძირითადი დატვირთვა ინფრასტრუქტურულ, საირიგაციო და სოციალურ პროექტებზე მოდის. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მეშვეობით წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა სახის მიზნობრივი პროგრამა და ახალი პროექტების დაფინანსება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი გაგიკ კარსლიანი, სწორედ რაიონში წარმოებულ ინფრასტრუქტურულ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების თაობაზე გვესაუბრა.

– ბატონი გაგიკ, რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტში?

– გასულ წელს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის მიერ „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული რამოდენიმე პროექტი იქნა დაფინანსებული. ჩვენი მხრიდან ყველა დავალება პირნათლად და დროულად იქნა შესრულებული და რაიონმა, გუბერნიის მასშტაბით, 100 პროცენტიანი მაჩვენებელი დააფიქსირა. 2015 წელს, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი 1 700 000 ლარი სოფლების განძა-



სა და ეშტიას ცენტრალური, შიდა, და შემოვლითი გზების რეაბილიტაციას მოხმარდა. ამასთან ერთად, წარმატებით განხორციელდა „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ გათვალისწინებული, 40 პროექტი, რომელთა ღირებულებამ 543 000 ლარი შეადგინა. ნინოწმინდაში არსებული 32

სოფლიდან, არცერთი არ დარჩენილა კონკრეტული პროექტის გარეშე. მოსახლეობის სურვილიდან გამომდინარე, მოხდა ხიდების და კულტურის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გავიყვანეთ გარეგანათება, ექსპლუატაციაში შევიდა მინი სპორტული მოედნები, ჩატარდა სანიაღვრე არხების გამზენდა-მოწესრიგება და გზების მოხრეშვითი სამუშაოები. გავმართეთ წყალმომარაგება და განხორციელდა სასაფლაოების შემოლობვა.



– საირიგაციო სისტემები როგორ მდგომარეობაშია?

– როგორც მოგეხსენებათ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია, უხვი მოსავლის მიღება კი დიდი ილადი, სწორედ სარწყავი სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზეა



დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, გამგეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი კოორდინაციის საფუძველზე, აღნიშნული სარწყავი სისტემების მოსაწესრიგებლად, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. მუნიციპალიტეტში უკვე გარემონტდა და გამართულად მოქმედებს სპასოვეა - სათხას 26 კმ სიგრძის სარწყავი სისტემა, რომელიც 2.200ჰა ფართობს რწყავს, ხოლო ღაურმა-ჯიგრაშენის და მამზარა-კონდურის მიმართულებით არსებულ სარწყავ სისტემებს შეეკეთება ესაჭიროება. ამ მიმართულებით 2017 წელს 3 000 000 ლარის ღირებულების პროექტია დაგეგმილი და დარწმუნებული ვარ, პრობლემას დროულად მოევლება.

– სოციალური მიმართულებით რა სიახლეებია?

– ამ ეტაპზე, სოციალური პაკეტები ცალკეა გამოყოფილი, ხოლო დეკომბინირები, მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, ხარ-



ჯებში ავტომატიურად აისახება. წინა წლებთან შედარებით, ბიუჯეტის მატებასთან ერთად, გაიზარდა სოციალური პროგრამების რაოდენობა. ამ ეტაპზე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სოციალურ და ჯანმრთელობის

დაცვის ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა ერთჯერადი სოციალური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, ვებმარებით მრავალშვილიან ოჯახებს და უსინათლოებს. განდაში ავაშენეთ ახალი ამბულატორია, გამართულად მუშაობს სასწრაფო სამედიცინა დახმარების სამსახური და მონასტერთან არ-

სებული საავადმყოფო. ჩვენი ბიუჯეტით ფინანსდება ასევე მუნიციპალიტეტში არსებული 9 საბავშვო ბალი. წელს ვეცდებით მათი რაოდენობა კიდევ უფრო გავზარდოთ, ხოლო სოფელ დილიბის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას სრული რეაბილიტაცია ჩავუტაროთ, რისთვისაც 30 000 ლარია გამოყოფილი. შესაბამისად, ჩვენი ძირითადი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენების მხარდაჭერა და მათთვის განხეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, რათა თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

– სამომავლოდ, ვაპირებთ უკვე დაწყებული პროექტები დავასრულოთ და კვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მიეცედოთ. გარდა ამისა ჩვენი მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმება და სოციალური უზრუნველყოფა. ვფიქრობ, ამაში ხელი ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდამ უნდა შეგვიწყოს. გარდა ამისა, ბოლომდე ვაპირებთ მოვაგვაროთ რაიონის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც უკვე წლებია დგას მუნიციპალიტეტის გარკვეული სოფლების მოსახლეობის წინაშე. როგორც ხედავთ, გამოწვევები ძალიან დიდია და იმედი მაქს, ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთად დგომით, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.





ოგორც ცნობილია, საქართველოს თანამიმდევრული განვითარების პრობლემა უპირველესად ტერიტორიულ ერთეულთა სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის უთანაბრო განვითარებასთან გახლავთ დაკავშირებული. ასეთ პირობებში აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტური მეთოდების ზემოქმედება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია პროგრამულ-მიზნობრივი პროგნოზება და რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა. ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობა ცდილობს ყველაფერი იღონოს ქალაქებისა და რაიონების აღორძინება-განვითარების, მათი დეცენტრალიზაციის, ბიზნესპორტულის გაზრდის, საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. პირადად პრემიერ-მინისტრის კონტროლით, ეტაპობრივად მიმდინარეობს ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, წყალმომარაგების, გზების, ადგილობრივი სატრანსპორტო და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც

3 ფიქობ, ყველაფარი გაგმის მიხალვით ნარჩინთაბა



მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონებს შორის განსხვავებების აღმოფხვრასა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაში. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება აჭარის რეგიონში, სადაც სულ მაღლე ტურისტული სეზონი გაიხსნება. სასიხარულოა, რომ ხელვაჩაურის რაიონი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. რეალურად ფინანსდება რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სოციალური სფეროს განვითარება, რაც მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი ნადიმ ვარშავიძის აზრით, სულ მაღლე, მკაფიოდ აისახება რეგიონის და ზოგადად ქვეყნის წარმატებებზე.

- ბატონი ნადიმ, უპირველესად, მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტების შესახებ გკითხავთ...

- უკანას კნელი წლებია, ხელვაჩაურში ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს დასახული გეგმის მიხედვით ვახორციელებთ. 2013 წლიდან მოყოლებული მუნიციპალიტეტში სამუშაოები არ შეჩერებულა. ამ პერიოდის განმავლობაში, სულ 420 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომელთა დაფინანსებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 14 602 171 ლარი დაიხსარჯა. მონესტრიგდა მაგისტრალები,



ყოველწლიურად ბეტონდება 64 სოფელში გზები. გამოსწორდა წყალმომარაგება, ამ მიმართულებით სულ 63 პროექტი განხორციელდა და ჯამში 5 524 686 ლარი დაიხსარჯა. მონებურ ფერდამცავი კედლები, სოფელ კაპრეშუმში აშენდა ორი 5 სართულიანი სოციალური სახლი, აზბოკემენტის დარღვანი ფურცლით გადაიხურა სახურავები, კეთილმოენყო სპორტული მოედნები, დაწყებითი სკოლების და საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოიყო 4 488 961 ლარი.

რეაბილიტირებულ იქნა გარეგანათება და მოსაცდელები, ხოლო ჯანდაცვის 11 პროგრამით 3 წლის განმავლობაში 1327 ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 599 915 ლარი დაიხსარჯა.

- ძალიან მასშტაბური ციფრებია, მიმდინარე პროექტებზე რას გვეტყოდით?

- 2016 წლის განმავლობაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი იქნება ათვისებული. მათ შორის, უმთავრესია მტკირალა-ყოროლისთავის მაგისტრალის მშენებლობა, რომლის ღირებულება 3 881 470 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, დაიწყო ხელვაჩაურის და ახალშენის კულტურის სახლების სარეაბილი-



ტაციონ სამუშაოები, სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, სოფელ ზედა ჯოჭოში დასრულდა მინი სტადიონის და კიდევ 3 მოედნის რეაბილიტაცია ამ ეტაპზე მიმდინარეობს. სამების ლაბორატორია-ახალშენის გზის მონაკვეთზე დავასრულეთ ასფალტობეტონის საფარის მოწყობითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის პრობლემის აღმოფხვრის



მიზნით ათობით პროექტი ხორციელდება - სოფელ ერგეს კაპანდიბის დასახლებაში 14 ივლისს დასრულდება ჭაბურღილინისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები, რომელის სახელშეკრულებით დირექტორება 149 756 ლარია და სამუშაოების დასრულების შემდეგ სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა 65 ოჯახს მოეხსნება. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ რაიონში 11 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირებს და ამჟამად კიდევ 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს - ფერიაში, მახინჯაურში, კირნათში და ქედქედში.

- სოციალური კუთხით რა ვითარება?

- წინგადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებითაც მრავალადაა. 2016 წელს პირველად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლის მიზნობრივი პროგრამა ხორციელდება. გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ ერთად ახალი პროგრამა აპრილის თვეში დაწყო, რომელიც წლის ბოლომდე გაგრძელდება. პროგრამით, რომლის მთლიანი ბიუჯეტი 43 814 ლარია, ისარგებლებენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ორთაბათუმი, ყოროლისთავი, წინსვლა, მასაურა, აგარა, კაპრეშუმი, ნიქარაული, სალიბაური -

მცხოვრები უძლური ხანდაზმულა შშმ პირები, დროებით ან ხანგრძლივად უძლურებაში მყოფი მოქალაქეები და ტერმინალური პაციენტები. ყოველთვიური მომსახურება 40 ზრუნვის საჭიროების მქონე პირს და 40 ოჯახის წევრს გაეწევა. გარდა ამისა, დაინტერინის დაზარალებულებისთვის კომპენსაციების გაცემა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ასეთი 27 ოჯახია დარეგისტრირებული. 22 ბენეფიციარს 28 000 ლარი გადაეცემა, 5 დაზარალებულის საცხოვრებელი კი რეაბილიტაციას ექვემდებარება და მათ შესაკეთებლად შესაბამის თანხას მიიღებენ. აღნიშნულ თანხას გამგეობა ეტაპობრივად ჩაურიცხავს. მუნიციპალიტეტში შექმნილი სპეციალური კომისია კი თანხების მიზნობრივად დახარჯვას მონიტორინგს გაუწევს.

- ბატონონ ნადიმ, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- 2017 წლისთვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი საცხოვრებელი ბინებით კიდევ 23 ეკომიგრანტი ოჯახის უზრუნველყოფას გეგმავს. მენეჯერსაშიში ზონებიდან იძულებით გახიზული მოსახლეობისთვის სოციალური სახლის მშენებლობა ურების დასახლებაში უკვე მიმდინარეობს. პროექტისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მილიონ 432 ათას 786 ლარი დაიხარჯება. აქედან თანხის ნანილი მიმდინარე წელს უკვე გამოიყო, ნანილი კი 2017 წლის ხარჯებში იქნება გათვალისწინებული. მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „მშენებელი 80“ ანარმობებს და ის მომავალი წლის აგვისტოში უნდა დასრულდეს. ვფიქრობ, კაპეშუმის შემდეგ, ურესის დასახლებაში კიდევ ერთი სოციალური სახლის მშენებლობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახების უმრავლესობის პრობლემას საბოლოოდ გადაჭრის. გარდა ამისა, იგეგმება გზების დაძეტინება, სასმელი წყლის აბონენტთა გამოიცხველინება. ვაბირებთ ფერდასამაგრი სამუშაოების განხორციელებას, მინი მოედნების მშენებლობარეაბილიტაციის გაგრძელებას და სოფლებში ინტერნეტის შეყვანას. ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ვფიქრობ, ჩვენი მუშაობის შედეგად, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმატებით დასრულდება.





ადლეისოდ, საქართველოს ეკონომიკა განვითარების და სამომავლო პერსპექტივების უწყვეტი ძიების სტადიაშია. სამნუხაროდ, ქვეყანამ ძალზე დიდი დრო დაკარგა და ახლა ამის ანაზღაურება სასიცოცხლოდ აუცილებელია. სავარაუდოდ, ზოგადი აქტივობის რეალურ შედეგებს უახლოეს მომავალში დაგინახავთ. მთავარია, სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ ბრმად არ იმოქმედოს და განვითარების კარგად მოფიქრებულ გეგმას გაჰყვეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არაერთი პრობლემისა და სირთულისა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაახვედრა, ქვეყნის მთავრობამ დასახულ ამოცანებს წარმატებით გაართვა თავი. გადაიხედა სტრატეგიული მიმართულებები, უწყებებში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ სრულად შეიცვალა მიდგომები პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით. გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გახდა ტენდერები და მნიშვნელოვნად გაიზარდა მათში მონაწილეობით დანტერესებულ კომისანიათა რიცხვი. შემუშავდა ხარისხის სტანდარტები და გაიზადა მისი კონტროლის მექანიზმები. თუმცა, არანაკლებ მნიშ-



მუნიციპალიტეტი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას შეძლებას

ვნელოვანია, ის გარემოება, რომ რეგიონებში შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ უარი თქვა წინა მთავრობის დროს უკანასკნელ წლებში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე და აქცენტი გააკეთა ძლიერი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლება ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას ხელფეხი გაეხსნა საბაზისო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად და საზოგადოებრივი მომსახურებების გასაუმჯობესებლად. გაცილებით ადვილი გახდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების სრულყოფა. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიმართულებებია დღეს მნიშვნელოვანი და დომინანტური ზესტაფონის მინიციპალიტეტში, რომლის გამგებელს, ბატონი ტარიელ თუთარაშვილს, მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ წარმატებულ საჯარო მოხელედ იცნობენ.

- ბატონი ტარიელ, რას გვეტყვით გასულ წელს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სამუშაოებზე?

- 2015 წელი ზესტაფონში მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და სიახლეების დანერგვის წელი იყო. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში არაერთი მასშტაბური პროექტის განხორციელება შევძლით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის მოსახლესრიგებლად, გასულ 2015 წელს მუნიციპალიტეტში 2,5 მილიონ ლარი დაიხარჯა. ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტზე კი ერთი წლის განმავლობაში 6 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. საავტომობილო გზების რეაბილიტაცია განხორციელდა, როგორც აბილიტაცია განხორციელდა, როგორც განვითარებას წარმატებულ საჯარო მოედნები და მონაცემების მიმღებელს, ბატონი ტარიელ თუთარაშვილს, მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ წარმატებულ საჯარო მოხელედ იცნობენ.



ქალაქის, ასევე სოფლების მიმართულებით. ზესტაფონში კეთილმოეწყო ჭავჭავაძის, ანჯაფარიძის, დუმბაძის, ასუილის, გიორგი ნიკოლაძის და გოგებაშვილის ქუჩები. გზების რეაბილიტაცია განხორციელდა მრავალ სოფელში. განსაკუთრებით მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა სოფელ ქეედა საზანოში, ზორვეთში, ბოსლევში, ფუთსა და ქვედა საქარაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისმმევით მრავალი ათეული წლის შემდეგ ზესტაფონში სამი სრულიად ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება აშენდა. ერთ-ერთ შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და ქალაქს კიდევ ერთი სრულიად ახალი ბაღი შეემატა. საბავშვო ბაღების მშენებლობა განხორციელდა ქალაქის მშენიდვებაზე, რომელიც 105 მოსწავლეზეა გათვლილი. ასევე სოფელ მეორე სვირ-

სა და ქვედა საქარში (ჭალატყე), თითეული ბაღი 70 ალაზრდელს მიიღებს. ამ დანესტებულებების მშენებლობისთვის დაახლოებით მილიონი ლარი გამოიყო და პროექტები რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა. გარდა ამისა, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განახლდა საერთო ინფრასტრუქტურა, გაიმინდა სანიალვრე სისტემები. კეთილმოეწყო ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები და მოწესრიგდა გარე განათება.

- სოციალური და ჯანდაცვის კუთხით რა

ვითარება?

- წარმატებები არც ამ მიმართულებით გვაკლია. 2015 წელს განხორციელდა სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ოფისის რეაბილიტაცია. ახლადწერა პილიტირებული ფართი 120 კვ. მეტრს მოიცავს. ექიმების, ექინებისა და მძღოლებისათვის გამოყოფილია მოსახვენებელი ოთახები, ხოლო ადმინისტრაციული შენობა თანამედროვე ინვენტარით და ყველა საჭირო კომუნიკაციით გახლავთ აღჭურვილი. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ლირებულებამ 26 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან ერთად, გასულ წელს, მუნიციპალიტეტში პირველად განხორციელდა უსახლკარო ადამიანთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. სოციალურ პროექტის მიხედვით დახმარება 32 ოჯახს გაეწია, რომელთაგან შეიძის გამგეობამ საცხოვრებელი სახლები, ხოლო დანარჩენებს სამშენებლო მისახლები შეუძინა. რაც შეეხება სხვადასხვა სახის სოციალურ პროგრამებს, მათგვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 340 000 ლარია განსაზღვრული. პროგრამები მოიცავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსურ დახმარებას, უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას, თირკმლის უკარისობით დაავადებულთა დახმარებას, სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის უფასო კვებას, სტიქით დაზარალებულთა და გარდაცვლილთა ოჯახების ფულად დახმარებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში მყოფი ბენეფიციარების ფინანსურ კომპენსაციასაც ახორციელებს.

- მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება როგორ ვითარდება?

- სიღუმლოც არავისთვის წარმოადგენს, რომ ზესტაფიონს მდიდარი კულტურული ტრადიციები გააჩნია. კულტურულ მემკვიდრეობათა შორის გამორჩეულია სახალხო დღესასწაული „სულიკო“. ამ ფესტივალს დიდი ხნის ისტორია აქვს. ყოველი წლის შემოდგომაზე სოფელ ცხრანის დღისათვის უფასო კულტურული ფესტივალის ფარგლებში, კრებს მუსიკალურ კოლექტივებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ეს ფესტივალი ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთგვარი სავიზიტო ბარათია და წელს, მისი აღნიშვნა ტრადიციულად ვარინება წერეთლის მშობლიურ სოფელში, შემოდგომაზე მოხდება. გარდა ამისა, ზესტაფიონში, ასევე ერთგვარი ტრადიციად დამკვიდრდა ლვინის ფესტივალის ჩატარება, რომელიც ტრადიციული იმერული ლვინოების და ოჯახური ლვინის მნარმოებელთა პოპულარიზაციას ემსახურება.

- ბატონო ტარიელ, მიმდინარე წელს კიდევ რა სიახლეებს უნდა ველიღოთ?

- 2016 წლის მთავარ გამოწვევად, ზესტაფიონის მუნიციპალიტეტში, ისე, როგორც გასულ წელს, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების ხელშეწყობა რჩება. მათ შორისაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სანიაღვრე არხების აღდგენა, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, მინი საფეხბურთო მოედნების რეაბილიტაცია და მრავალსართულიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა. მიმდინარე წელს ორი სრულიად ახალი

საბავშვო ბალის მშენებლობა იგეგმება. სკოლამდელი აღზრდის დანესებულებების მშენებლობა ქვედა საქარასა და სოფელ ცხრანის განხორციელდება. ამასთან ერთად, 2016 წელს გზების რეაბილიტაცია დაგეგმილია სოფლებში ქვედა საზარეულო ზორვეთი, ბოსლევი, კვალიტეტი, წილის განვითარება და ილემი. გზის საფარის მოწყობა ქალაქის ქუჩებზეც განხორციელდება. საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყობა გიორგი ნიკოლაძის, გურამიშვილის, კვანტრიშვილის, გაჩერილაძის, უზნაძის და ნინოშვილის ქუჩებზე.

- როგორც ჩანს, სამომავლოდ დიდი გეგმები გაქვთ...

- როგორც მოგახსენეთ, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გზების კეთილმოწყობა მთავარ პრიორიტეტად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურა ათეულობით სოფელში მოეწყო, მაინც რჩება რამდენიმე დასახლება, სადაც ჯერ კიდევ ჩასატარებელია გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჩვენი გამგეობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მომავალ წლებში მაქსიმალურად შეამციროს ასეთი სოფლების ჩამონათვალი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ერთერთ მთავარ პრობლემად მოსახლეობის გაზიფიცირება რჩება. ჩვენი თვითმმართველობა კონსულტაციებს აწარმოებს „სოკარ ჯორჯია გაზარდა“ რათა კომპანიამ, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად მოეცე ვადებში მოახდინოს მოსახლეობის გაზიფიცირება. ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას შეძლებს, რაც თავისი მხრივ სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით აისახება.



ბევრი ახალი საცარი უდია გაიხსნას

ს

აქართველოში დაწყებულია სოფლის ფეხზე წამოდგომის შეუქცევადი პროცესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის ძლიერებაზე დამოკიდებული ჩვეუნის ძლიერება - ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გორგო კვირიკაშვილმა ამ ცოტა ხნის წინ, სიტყვით გამოსვლისას გააცეთა. მთავრობის მეთაურის თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარება ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის მეშვეობით, 1000-ზე მეტი ახალი საწარმო გაიხსნა და გადაიარაღდა. შესაბამისად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტებად რჩება. უკანასკნელ პერიოდში, ქვეყნის მთავრობამ გარკვეულწილად დაბლიუ ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის შემდგომი გადამწყვეტი ეტაპი და ამოცანად კონკრეტული რეგიონების შემდგომი განვითარება დაისახა. ამის მისაღწევად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება - დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება, ინფრასტრუქტურის მოსანესრიგებლად და ეკონომიკური სტაგნაციის საბოლოოდ დასამარცხებლად ქვეყანამ კვლავაც უნდა გააგრძელოს განსაკუთრებული ძალისხმევა. თავისუფალი ეკონომიკის კურსი პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს, რაც მოქალაქეებს, მეზარმეებსა და ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ეს გარემოებები მომავალში რეგიონების შემდგომ განვითარებას, ინვესტიციების ზრდას და სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტას განაპირობებს. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი თემიშვალაზავარიძე დარწმუნებულია, რომ საქმისადმი სწორი მიდგომით, თავდაუზოგავი შრომით და ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განვითარებით, ადგილობრივი მოსახლეობის ყველა პრობლემის გადაწყვეტაა შესაძლებელი.



- ბატონო თემურ, როგორც ვხედავთ, მუნიციპალიტეტში დადგებითი სიახლეებია...

- გასული, 2015 წლიდან მაყოლებული, მართლაც ბევრი პროექტი დავასარულეთ, ხოლო სამუშაოების ნაწილი ახლაც მაღალი ტემპებით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს და ჯამში, 3.5 მლნ ლარი დაიხარჯება. 6 სოფელში ერთდროულად მიმდინარეობს გზების რეაბილიტაცია. ასეთი გახლავა დავანკითო-ტელეფა-რუფორთის 3 კმ-იან მონაკვეთი, სადაც ასფალტობეტონის საფარი დაიგო. აღნიშნული მონაკვეთი ერთ-მანეთთან 10-ზე მეტ სოფელს აკავშირებს, ამ დრომდე სრულად ამორტიზებული იყო და ნელს რეგიონული განვითარების ფონდიდან 417 262 ლარით დაფინანსდა. გარდა ამისა მსგავსი სამუშაოები წარმოებს ალისუბანი-

მუჯირეთი, ძევრი-ზედა სიმონეთი, თერჯოლა-სიქთარვა, ბარდუბანისა და ჩიარის მონაკვეთებზე. ჩვენი გეგმებით, მიმდინარე სამუშაოები ივნისის ბოლოს დასრულდება.



გარდა ამისა, ვმუშაობთ სოფელ ღვანკითის წყალმომარაგების პრობლემის აღმოფხვრაზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ორნელიანი პროექტია, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს. პირველი ეტაპის სამუშაოები უკვე დასრულდა და ნელს სათავე ნაგებობების მშენებლობას და ცენტრალური ქსელის ჩამოყალიბებას განვახორციელებთ. ზოგადად წყალმომარაგებისა და სასმელი წყლის პრობლემა, განსაკუთრებით ზაფხულში, ერთ-ერთი აქტუალური სა-

კითხია. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ჭაბურლილების მოწყობა იწყება. უახლოეს მომავალში სამუშაოები დაიწყება სოფ. ქვაბულში, პროექტის ღირებულება 56 460 ლარი („სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ 27 892 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 28568 ლარი); სოფ. კვახში, პროექტის ღირებულება 45 321 ლარი („სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ 14 011 ლარი, ადგილობრივი ბი-



უჯეტიდან 28 568 ლარი); სოფ. ალისუბანში-პროექტის ღირებულება 65 564 ლარი, რომელიც მთლიანად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ ფინანსდება. აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ჭაბურლილების მოწყობა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაგრძელდება. ასევე წინსვლა გვაქვს მუნიციპალიტეტის გაზიფიკირების მიმართულებით - დარჩენილია რამდენიმე სოფელი და მომავალი წლიდან ეს პრობლემაც გადაჭრილი იქნება.


- სოფიალური კუთხით რა ვითარებაა?

